ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-09

2011 წლის 25 თებერვალი
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების ფარგლებში სამივლინებო ხარჯების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის №06 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების ფარგლებში სამივლინებო ხარჯების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის №06 განკარგულებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

2. დაემატოს 7^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7^1. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების სამივლინებო ხარჯები განისაზღვროს:

ა) საქართველოს პირველობებზე, ჩემპიონატებზე, თასების გათამაშებაზე:

ერთ სპორტსმენზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ ტექნიკურ პერსონალზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ბ) მუნიციპალურ, საქალაქო და რეგიონალურ ღონისძიებებზე:

ერთ სპორტსმენზე - დღიური თანხა 10 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური თანხა 10 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური თანხა 10 ლარი;

ერთ ტექნიკურ პერსონალზე - დღიური თანხა 8 ლარი;

გ) სასწავლო-საწვრთნო შეკრებაზე:

ერთ სპორტსმენზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური თანხა 15 ლარი;

ერთ ტექნიკურ პერსონალზე - დღიური თანხა 15 ლარი;

3. შეტანილ იქნას ცვლილება მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანიზებით შეჯიბრებებისა და საწვრთნელი შეკრებების დრო, ადგილი, მიზანი და ხანგრძლივობა განისაზღვრება თვითმმართვეული ერთეულის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული დებულებით და მტკიცდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ''.

4. შეტანილი იქნას ცვლილება მე-10 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანიზებით შეჯიბრებებისა და საწვრთნელი შეკრებების დებულებები ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარედგინება შემდეგი სახით:

ა/ შეჯიბრების დებულება - ღონისძიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე;

ბ/ საწვრთნელი შეკრების დებულება - ღონისძიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე''.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე);

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

7. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**